საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3044
30/06/2022

3044-21-2-202206301634

შპს „ჯეუ გრუპს“
მის: თბილისი, 26 მაისის მოედანი 2, 1 შენობა, 6 სართ.
ელ. ფოსტა: gkhuntsaria@jeugroup.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №13896 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი, გენგეგმაზე დატანით, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში მოხდება სასარგებლო წიაღისეულის (ფუჭი ქანები) გადამუშავება. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს გადასამუშავებელი ნედლეულის სახეობა;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ „სამეურნეო მიზნებისათვის წყალაღება მოხდება მდინარე ქვაბლიანიდან, ხოლო სასმელი წყალი შემოტანილი იქნება ავტოცისტერნებით და დაგროვდება რეზერვუარში ან ბუტილირებული სახით“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგების საკითხი;
- დაზუსტებას საჭიროებს მდ. ქვაბლიანში ჩაშვებული ჩამდინარე წყლის მოცულობა, სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარსა და ბეტონის წარმოების პროცესში გამოყენებული საწარმოო დანიშნულების წყლის მოცულობის (33 720 $მ^3$) გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მდ. ქვაბლიანის ჰიდროლოგიური რეჟიმის თაობაზე;
- დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის ეფექტურობა);

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორია მდინარიდან დაშორებულია 41 მეტრით. დაზუსტებას საჭიროებს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს რომელი ობიექტიდან მოხდა აღნიშნული მანძილის გაზომვა;
- სკრინინგის განცხადების, სატიტულო გვერდზე, დოკუმენტის სათაურად მითითებულია „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო